სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 მარტი, 2025 წ

ბრძანება N 01-02/53

2025-2026 სასწავლო წლისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში **ტრიესტეს** უნივერსიტეტში **საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, „ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 21 თებერვლის №01-14/43 ბრძანების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (24.03.2025 წლის №321283) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ტრიესტეს უნივერსიტეტში (იტალია) პოლიტიკური მეცნიერებების და საერთაშორისო მიმართულებით საერთაშორისო მობილობის მონაწილე **ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1 **კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2025 წლის 25 მარტიდან - 2025 წლის 28 მარტის ჩათვლით, 12:00 საათამდე:**

ა) აკადემიური პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

ბ) მოწვეულ მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე chancellery@bsu.edu.ge;

1.2 კონკურსანტმა უნდა გააგზავნოს აბსტრაქტი **2025 წლის 30 მარტის ჩათვლით** შემდეგ შემდეგ მისამართებზე: Maja Savic-Bojanic - Sarajevo School for Science & Technology - mayasavic23@gmail.com; Kathrin Bachleitner PLUS- kathrin.bachleitner@plus.ac.at; Eugene Sensenig - Notre Dame University Beirut - eugensensenig@gmail.com.

1.3 საბუთების შემოწმება და შეფასება - **2025 წლის 28 მარტი - 12:30 – 13:30 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. გასაუბრება კომისიასთან - **2025 წლის 28 მარტი, 14:30 საათი;**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისათვის - **არაუგვიანეს 2025 წლის 31 მარტის 18:00 საათისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე;
ბ) თამარ სირაძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;
გ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
დ) ბესო ნარაკიძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ე) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მერაბ ხალვაში**